



Norwegian Ministry
of Foreign Affairs



გზამკვლევი

ქურნალისტიკის სტუდენტებისა
და პედიოსტვის:

როგორ გავაუმჯობესოთ
მიგრაცია და მიგრანტები?

ავტორები

რუსუდან ტუშური

ძირითადი განმარტებები მიგრაციის შესახებ
მიგრანტთა უფლებები საქართველოში
მიგრაციის მართვაში მონაწილე მხარეები

თამარ კინწურაშვილი

მიგრანტების თემატიკის ეთიკური, არადისკრიმინაციული და ინკლუზიური გაშუქება
მედიის თვითრეგულირება და ქცევის კოდექსები
ისტორიული ტრავმის გალვივება
მიგრანტების კრიმინალთან დაკავშირება
ყალბი ამბები, მცდარი ინფორმაცია და მიგრანტები

კორექტურა

ნინო საითიძე

პროექტის ასისტენტი

ნინო თეთრაული

გარეკანის ფოტოები

ნინო ბაიდაური

მანანა ქველიაშვილი

რედაქტორი

ეკა ჭითანავა

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის TDI-ს და შეიძლება არ გამოხატავდეს IOM-ის და დონორის დამოკიდებულებას. IOM მხარს უჭერს პრინციპს, რომლის მიხედვითაც ჰუმანური და მოწესრიგებული მიგრაცია სარგებლის მომტანია მიგრანტებისა და საზოგადოებისთვის. როგორც მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, IOM საერთაშორისო საზოგადოების პარტნიორებთან ერთად ხელს უწყობს მიგრაციის ოპერატიული გამოწვევების მოგვარებას; მიგრაციის საკითხების გარშემო ცოდნის გაღრმავებას; მიგრაციის საშუალებით სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას და ადამიანური ღირსების და მიგრანტთა კეთილდღეობის შენარჩუნებას.

პუბლიკაცია შექმნილია IOM-ის EMERGE პროექტის (georgia.iom.int/EMERGE) ფარგლებში, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

© 2021, თოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი



Norwegian Ministry
of Foreign Affairs



თოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი



შესავალი	6
1. ძირითადი განგაბრებები მიგრაციის შესახებ	9
1.1. რასა და რასიზმი – ტერმინოლოგიური განმარტება	12
2. მიგრანტების უფლებები	14
2.1. მიგრანტთა უფლებები საქართველოში	16
2.2. სახელმწიფო პოლიტიკა მიგრანტებთან მიმართებით	17
3. მიგრაციის გარემოში მონაწილე მხარეები	19
3.1. სახელმწიფო სტრუქტურები	19
3.2. საერთაშორისო ორგანიზაციები	20
3.3. არასამთავრობო ორგანიზაციები	21
4. მიგრანტების თავდაცვის ეთიკური, აკადემიკური და ინფორმაციული გაცდობა	22
5. ბელის თვითრეგულირება და მხარის კოლექსიები	26
6. ისტორიული ტრავმის გაცდობა	28
7. მიგრანტების პრიმინალთან დაკავშირება	29
8. ყალბი აგებები, მცდარი ინფორმაცია და მიგრანტები	30
8.1. სტატისტიკა vs გაზვიადება/თვალსაზრისი	30
8.2. კრიმინალური ინციდენტების განზოგადება/გაზვიადება	31
8.3. ვიზუალური მანიპულაცია და ვერიფიკაციის ინსტრუმენტები	32
8.3.1. მცდარი კონტექსტი და ფოტომანიპულაცია: მუსლიმი მიგრანტები და მათი მიმღებლობა	33
8.3.2. დამუშავებული ფოტო: Sorry Mustafa	33
8.3.3. მხატვრული ფილმის კადრების რეალურ ინფორმაციად წარმოჩენა	34
8.3.4. ავტენტური ვიდეო ყალბი აღწერილობით	35
9. მიგრაციისა და მიგრანტების პოზიტიური გაცდობის გაცდობები	36

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ მომზადებული სახელმძღვანელოს მიზანია მომავალი ჟურნალისტებისთვის მიგრანტთა საკითხების გაშუქებისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ტერმინების გაცნობა, განმარტება, მცდარი და ეთიკური დასახელებების გარჩევა, სტერეოტიპებისა და მცდარი წარმოდგენების შესახებ ცნობიერების ამაღლება, ინკლუზიური გაშუქებისთვის საჭირო რეკომენდაციების, ყალბი ინფორმაციის ამოცნობისა და გადამოწმებისთვის შესაბამისი ინსტრუმენტების შეთავაზება.

სახელმძღვანელო, საბოლოოდ, მედიის მიერ აღნიშნული თემატიკის პროფესიულად და ეთიკის სტანდარტების დაცვით გაშუქებას შეუწყობს ხელს.

ანტიმიგრანტული განწყობები: კონტექსტი

მკვლევრები თანამედროვე პოპულიზმის აღმავლობის რამდენიმე მიზეზს გამოყოფენ. ჰოლანდიელი პოლიტოლოგი კას მუდე სამ მთავარ ფაქტორს ასახელებს¹: ფინანსური კრიზისი, ლტოლვილების მიგრაცია ევროპაში და არაპოპულისტური, მეინსტრიმული პარტიების ტრანსფორმაცია პოპულისტურ პოლიტიკურ ძალებად. პოპულისტები ცდილობენ, ამომრჩეველი დაარწმუნონ, რომ ტრადიციული სისტემის სტატუს-კვოს არ იზიარებენ და კორუმპირებული ელიტის ნაცვლად, ხალხის ინტერესებს ემსახურებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე ქსენოფობიური განწყობები საქართველოში ყოველთვის არსებობდა, დასავლეთში პოპულიზმის ტალღამ, ევროპაში ულტრამემარჯვენე პოპულისტური პარტიების მომძლავრებამ მათ ახალი ბიძგი მისცა. მეორე მხრივ, მიგრაციის თემატიკამ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში ანტიდასავლური კონტექსტი შეიძინა, რადგან ევროკავშირის „ღია კარის პოლიტიკა“, რომელიც მიგრანტებისა და ლტოლვილების პრობლემის გადაჭრას ისახავს მიზნად, ევროკავშირის ასოცირებული წევრებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, სავალდებულოდ იყო წარმოჩენილი. შესაბამისად, ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი, მცდარად, მიგრანტების მიღების ვალდებულებასა და ასიმილაციის საფრთხესთან გაიგივდა.

¹ Mudde, Cas. (2016). On extremism and democracy in Europe. <https://www.routledge.com/On-Extremism-and-Democracy-in-Europe-1st-Edition/Mudde/p/book/9781138651449>

საქართველოში 2016 წლიდან ცხადად ვლინდება უცხო ქვეყნების (განსაკუთრებით აზიისა და აფრიკის რეგიონის) წარმომადგენლებისა და მიგრანტების მიმართ ძალადობის, აგრესიისა და ქსენოფობიის მზარდი ტენდენცია². ბოლო წლების განმავლობაში, ნეოფაშისტური და ქსენოფობიური, ექსტრემისტული ჯგუფები საჯარო სივრცეში ხშირად ჩნდებიან და თავს ესხმიან კონკრეტული ეროვნებისა თუ იდენტობის მქონე ადამიანებს. ამ ჯგუფების აქტიურობა 2017 წლის ივლისს, აღმაშენებლის გამზირზე ორგანიზაცია „ქართული მარშის“ მიერ გამართული მსვლელობის შემდეგ გაიზარდა³. ქსენოფობიური აქციის მთავარი მოწოდება, „არალეგალი“, დოკუმენტების გარეშე მყოფი მიგრანტების გაძევება იყო. გაერთიანებაში შემავალი პირები თუ ორგანიზაციები ზოგადად გამოირჩევიან ნეიტრალური განწყობებით, რასისტული გამონათქვამებით და ხშირად მონაწილეობენ ძალადობრივ აქციებში.

ხშირია მიგრანტების მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და ფიზიკური ანგარიშსწორება. მაგალითად, 2018 წლის აპრილში, თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ქართველებმა მიგრანტთა ჯგუფი ფეხბურთის სტადიონიდან გააძევეს და რასობრივი შეუწყნარებლობის საფუძველზე ფიზიკურად გაუსწორდნენ⁴.

გარდა ფიზიკური სივრცეებისა, ანტიმიგრანტული ნარატივის მქონე ჯგუფების ხილვადობა გაიზარდა სოციალურ ქსელშიც. საზოგადოებრივი განწყობების კვლევები და სოციალურ ქსელში აქტივობის ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში კულტურული მრავალფეროვნება და იმიგრაცია საფრთხედ აღიქმება. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC საქართველო) მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით⁵, საქართველოში უმცირესობების წინააღმდეგ სიძულვილით მოტივირებულ ფართომასშტაბიან ინციდენტებთან დაკავშირებით საზოგადოების განწყობები ამბივალენტურია. მაგალითად, ბელიაშვილის ქუჩაზე შავკანიანი ახალგაზრდების ზემოთ უკვე ხსენებულ ცემის ფაქტს გამოკითხულთა 48 პროცენტი სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს არ მიაკუთვნებდა.

ცალკეული ორგანიზებული ჯგუფების მიერ რასისტული და ქსენოფობიური ნიშნით ძალადობის გარდა, უცხოელებთან მიმართებით პრობლემურია სახელმწიფო პოლიტიკაც. მაგალითად, აფრიკისა და აზიის ქვეყნების მოქალაქეები საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღებისას დაბრკოლებებს აწყდებიან. სახელმწიფო მათ ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარს, ხშირად, დაუსაბუთებელი, სავარაუდო დისკრიმინაციული ნიშნით ეუბნება.

საზოგადოებაში არსებობს მიგრანტების კრიმინალუბად და სექსუალურ მოძალადეებად წარმოჩენის, ასევე მიგრაციის პროცესის ევროპის ისლამიზაციასა და ევროინტეგრაციის პერსპექტივასთან დაკავშირების ტენდენცია. ეს უკანასკნელი, რელიგიური იდენტობის დაკარგვისა და ასიმილაციის შიშს უკავშირდება.

² http://tdi.ge/sites/default/files/tdi_angarishi_rasobriv_i_diskriminacia_ucxoelebis_uplebebi.pdf

³ იხ. „ქართული მარშის“ აქცია აღმაშენებლის გამზირზე, საზოგადოებრივი მაუწყებელი, 14.07.2017, <https://www.youtube.com/watch?v=w9wEiWLzj2c>

⁴ იხ. კომენტარი ბელიაშვილის ქუჩაზე სტუდენტებზე თავდასხმის შესახებ, ტაბულა, 11 აპრილი, 2018, <https://tabula.ge/ge/news/607404-nigerieli-studenti-darcmunebuli-var-intsidenti>

⁵ იხ. CRRC, „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში, საზოგადოების განწყობა და ინფორმირებულობა საქართველოში“, 2018, <https://rm.coe.int/hate-crime-hate-speech-and-discrimination-inattitudes-and-awareness-g/16808ef62b>

ამ კონტექსტში მედიას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება, მიგრანტებთან დაკავშირებული საკითხები არადისკრიმინაციულად და ინკლუზიურად გააშუქოს. ამავე დროს, იცოდეს ყალბი ინფორმაციის ვერიფიკაციის ინსტრუმენტები, რადგან ვირუსულად გავრცელებული საზიანო შინაარსის ინფორმაცია შესაძლოა კონფლიქტებისა და ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობის გამწვავების საბაზადაც კი იქცეს.

წინამდებარე სახელმძღვანელო იყოფა ორ ძირითად ნაწილად: 1) პირველი თავი მიმოიხილავს მიგრაციის ძირითადად განმარტებებს, მიგრანტებთან დაკავშირებით ადგილობრივ და საერთაშორისო ადამიანის უფლებების სტანდარტებსა და სამართლებრივ რეგულირებას, მიგრაციის მართვაში მონაწილე სტრუქტურებსა და მათ როლს. 2) მეორე ნაწილი მიმოიხილავს მიგრანტების საკითხების ეთიკური და ინკლუზიური გაშუქების ასპექტებს, რაც საერთაშორისო პრაქტიკას, ასევე ადგილობრივ რეგულაციებს ეფუძნება. განხილულია ყალბი ინფორმაციის გადამოწმების ინსტრუმენტები, რაც ვიზუალური მანიპულაციის ნაწილსაც ფარავს.

ძირითადი განმარტებები მიგრაციის შესახებ

რუსუდან ტუშური

მიგრაცია – საერთაშორისო საზღვარზე ან ქვეყნის შიგნით გადაადგილების პროცესი. მიგრაცია გულისხმობს მოსახლეობის ნებისმიერი სახით გადაადგილებას, მიუხედავად ხანგრძლივობისა, შემადგენლობისა და გამომწვევი მიზეზებისა; მიგრაცია მოიცავს ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, გამოსახლებულ პირთა და ეკონომიკურ მიგრანტთა გადაადგილებას.

მიგრაცია

ორგანიზებული	ზომიერი	გეოგრაფი
იძულებითი	კანონიერი	სიკვლავური
შიდა	უკანონო	ლაგუნებითი

მიგრანტი – საერთაშორისო დონეზე ტერმინ „მიგრანტის“ საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს. ჩვეულებრივ, ტერმინი „მიგრანტი“ მოიაზრებს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც პირი მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თავისუფლად, ძალდაუტანებლად, რაც ნაკარნახევია „პირადი კეთილდღეობის“ მიზეზით და ხდება გარე იძულებითი ფაქტორის ჩაურევლად. ამდენად, ეს ტერმინი გამოიყენება იმ პირთა და მათი ოჯახის წევრთა მიმართ, რომლებიც მიემგზავრებიან სხვა ქვეყანაში ან რეგიონში, როგორც მატერიალური და სოციალური პირობების, ასევე პირადი და ოჯახის წევრების სამომავლო პერსპექტივების გაუმჯობესების მიზნით.

2020 წელს მსოფლიოში იყო 281 მილიონი მიგრანტი – მსოფლიო მოსახლეობის 3.6% – ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა მოქალაქეობის სახელმწიფოს გარეთ

წყარო: International Migration Highlights


<https://www.un.org/en/desa/international-migration-2020-highlights>

იძულებით გადაადგილებული პირი – პირები ან პირთა ჯგუფი, რომლებიც აიძულებს ან დაავადლებულეს, დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან ჩვეულებრივი ბინადრობის ადგილი; კერძოდ, შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ან მისი შედეგების თავიდან ასაცილებლად, ასევე ძალადობის საყოველთაო გამოვლინებების, ადამიანის უფლებების დარღვევების და ბუნებრივი ან ადამიანის ჩარევით გამოწვეული კატასტროფების თავიდან ასაცილებლად; და რომლებსაც არ დაუტოვებიათ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვრები.

ინგლისურად ამ ტერმინს შეესაბამება Internally displaced persons (IDPs). მათ ასევე მოიხსენიებენ „დევნილებად“

ეკონომიკური მიგრანტი – პირი, რომელიც ტოვებს თავის ჩვეულ/მუდმივ საცხოვრებელს, რათა დასახლდეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ეს ტერმინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღნიშნულ პირთა გასასხვავებლად დევნას გარიდებულ ლტოლვილებისგან; ასევე, ზოგ შემთხვევაში, ტერმინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირებთან მიმართებით, რომლებსაც გამიზნული აქვთ შეაღწიონ დანიშნულების ქვეყანაში კანონიერი ნებართვის გარეშე და/ან გამოიყენონ თავშესაფრის მიღების პროცედურები საამისოდ კეთილსინდისიერი (bona fide) მიზეზის არარსებობისას. ტერმინი ასევე მოიცავს იმ პირებს, რომლებიც წარმომავლობის ქვეყანას ტოვებენ სასოფლო-სამეურნეო სეზონის დროს და სახლდებიან სხვა ქვეყნებში, მუშაობის მიზნით და, შესაბამისად, მოიხსენებიან სეზონურ მუშებად.

შრომითი მიგრანტი – პირი, რომელიც დასაქმდება, დასაქმებულია ან დასაქმებული იყო ანაზღაურებადი საქმიანობით ქვეყანაში, რომლის მოქალაქეც იგი არ არის (შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია, 1990 წელი, მუხლი 2(1)).



დანიშნულების ქვეყანა – ქვეყანა, რომელიც დანიშნულების ადგილია მიგრაციული (კანონიერი და უკანონო) ნაკადებისთვის.

წარმოშობის ქვეყანა – ქვეყანა, რომელიც მიგრაციული (კანონიერი და უკანონო) ნაკადების წყაროა.

ადამიანთ ვაჭრობა (ტრაფიკინგი) – ადამიანთა გადაბირება, ტრანსპორტირება, შეფარება ან მიღება მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით: მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით, ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიღების ან გაცემის გზით, ვისი დამოკიდებულების ქვეშა იმყოფება მეორე პირი, ამ უკანასკნელის ექსპლუატაციის მიზნით (გაეროს ოქმი ადამიანთ, გან-

საკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ, მუხლი 3(ა), ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის (2000 წ.) დამატება).

საერთაშორისო ღაცვა – თავშესაფრის პროცედურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებების დაცვა.

თავშესაფრის პრინციპი – სამართლებრივი პროცესი, რომელიც მოიცავს პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებულ ქმედებებს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის მომენტიდან საერთაშორისო დაცვის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

თავშესაფრის გაკივილი – უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელმაც საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით მიმართა სახელმწიფო უწყებას და ელოდება გადაწყვეტილებას. უარის თქმის შემთხვევაში, შეიძლება პირის გაძევება საქართველოდან.

ლტოლვილი – პირი, რომელსაც „საფუძვლიანი შიში აქვს, რომ შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკურ შეხედულებათა გამო, იმყოფება იმ ქვეყნის გარეთ, რომლის მოქალაქეც არის და არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს, გამოიყენოს ამ ქვეყნის მფარველობა“ (კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, მუხლი 1ა(2), 1951 წ., 1967 წლის ოქმით შეთანხმებული შესწორებებით).

2020 წელს
მსოფლიოში 26.3
მილიონი ლტოლვილი
იყო
წყარო:
Refugee Data Finder
<https://www.unhcr.org/refugee-statistics/>

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პირს ლტოლვილის სტატუსი ენიჭება მას შემდეგ, რაც კომპეტენტური ორგანოები მიიღებენ სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას. ასეთ გადაწყვეტილებამდე, იგი არის თავშესაფრის მაძიებელი პირი.

პირი, რომელსაც მოუწია სამშობლოს დატოვება დევნის, მასობრივი ძალადობის, შეიარაღებული კონფლიქტის ან ადამიანის ჩარევით გამოწვეული კატასტროფის გამო, ხშირად მოიხსენება **de facto ლტოლვილად ან ქვეყნის გარეთ გადაადგილებულ პირად**.

გაკეცივის დაუშვებლობა – non-refoulement – ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენციით (1951 წ.) განსაზღვრული პრინციპი, რომლის თანახმად, „არც ერთი ხელშემკრელი სახელმწიფო არ გაასახლებს ან დააბრუნებს ლტოლვილს იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო. თუმცა, ეს პრინციპი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ლტოლვილთან მიმართებით, რომელიც ანგარიშგასაწევი მიზეზების გამო სახელმწიფო უშიშროებისთვის საფრთხეს წარმოადგენს ქვეყანაში, სადაც იგი იმყოფება ან მსჯავრდებულია სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით განსაკუთრებით მძიმე დანაშა-

ულის ჩადენისთვის და ამ ქვეყნის მოსახლეობისთვის საფრთხეს წარმოადგენს“ (ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენცია, 1951 წ., მუხლი 33 (1) და (2)).

კუპანიტარული სტატუსი – სტატუსი, რომელიც ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის განსაზღვრულ პირობებს, მაგრამ არსებობს რეალური რისკი, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას სერიოზული ზიანის საფრთხის წინაშე დადგება.

დროებითი ღაცვის ქვეშეობის სტატუსი – შეიძლება მიენიჭოს მასობრივად ქვეყანაში შემოსულ პირებს, რომლებიც საერთაშორისო დაცვას საჭიროებენ და არ შეუძლიათ საკუთარ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება განურჩეველი ძალადობის, აგრესიის, საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

1.1. რასა და რასიზმი – ტერმინოლოგიური განმარტება⁶

რასები ან რასობრივი ჯგუფები – ენციკლოპედია „ბრიტანიკა“ რასას შემდეგნაირად განმარტავს: „რასა“ არის იდეა, რომ ადამიანთა სახეობები იყოფა განსხვავებულ ჯგუფებად მემკვიდრეობით გადაცემული ფიზიკური და ბიჰევიორისტული განსხვავებების საფუძველზე. მე-20 საუკუნის გენეტიკურ კვლევებზე დაყრდნობით, მეცნიერებმა უარყვეს ბიოგენეტიკურად განსხვავებული რასების არსებობა“. შესაბამისად, რასა არაა ბიოლოგიური მოცემულობა, არამედ სოციალური და პოლიტიკური კონსტრუქტია. რასობრივი კატეგორიები მცდარია და არ აღწერს გენეტიკურ მრავალფეროვნებას. დღეს არაეთიკური, რასისტული და არააკადემიურია რასობრივი ტიპოლოგიების გამოყენება ადამიანთა ფენოტიპური, ფიზიოლოგიური თუ ინტელექტუალური მახასიათებლების აღწერისას. მეორე მხრივ, ტერმინი „რასა“ გვხვდება ბევრ სამართლებრივ დოკუმენტში, მათ შორის, საერთაშორისო აქტებსა და დეკლარაციებში. თუმცა, აქ სიტყვა „რასა“ არ აქვს ის მნიშვნელობა და შინაარსი, რომელიც რასობრივ ტიპოლოგიებშია. აქ „რასა“ გამოყენებულია რასის საფუძველზე დისკრიმინაციის შინაარსის აღსაწერად და არა რასობრივი განსხვავების აღსანიშნად.

მაგალითად,

სწორია: „ნიგერიის მოქალაქე სამსახურში რასობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლია“.

მცდარია: „დღესასწაულში მონაწილეობა სხვადასხვა რასის წარმომადგენლებმა მიიღეს“.

სწორია: „დღესასწაულში მონაწილეობა სხვადასხვა ეროვნებისა და წარმოშობის ადამიანებმა მიიღეს“.

⁶ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) შენიშვნა.

ჟურნალისტურ მასალაში შეიძლება გამოვიყენოთ „შავკანიანი“ ან „აფრიკელი ამერიკელი“ (შეიძლება ასევე გვხვდებოდეს „აფროამერიკელი“, ამერიკელი შავკანიანი, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ თავის წარმოშობას აფრიკის კონტინენტს ან ხალხს უკავშირებს).

შენიშვნა: აფრიკელი ამერიკელი (აფროამერიკელი) კონკრეტულად ამერიკელ შავკანიანს გულისხმობს და არაადეკვატურია მისი გამოყენება, მაგალითად, საქართველოში მცხოვრებ ნიგერიის მოქალაქესთან მიმართებით.

ზოგჯერ ჟურნალისტური მასალა შეიძლება არ მოითხოვდეს კანის ფერის პირდაპირ დასახელებას.

მაგალითად,

„შავკანიან ჯორჯ ვემსს საზოგადოებრივ ტრანსპორტში დაესხნენ თავს“.

უპოვნის: „კამერუნის მოქალაქეს საზოგადოებრივ ტრანსპორტში კანის ფერის გამო დაესხნენ თავს“.

სწორია: „ჯორჯ ვემსის აზრით, მას შეურაცხყოფა იმიტომ მიაყენეს, რომ შავკანიანია / ან შეურაცხყოფა კანის ფერის გამო მიაყენეს“.

რასასა და რასიზმზე დამატებით იხილეთ:

► რა არის რასა და რასიზმი?

<https://bit.ly/3epL23C>

► რასიზმი და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია

<https://bit.ly/3nSIFuq>

► ასევე, იხილეთ TDI-ის მიერ მომზადებული, მედიაში ხშირად გამოყენებული ტერმინების ლექსიკონი რელიგიურ, კულტურულ და ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე:

http://tdi.ge/sites/default/files/mravalperovnebis_gashukeba.pdf

მიგრანტების უფლებები

საზოგადოებაში არატოლერანტული განწყობების, პოპულისტური და რასისტული ჯგუფების მხრიდან თავდასხმის გამო, ხშირად მიგრანტების უფლებები ირღვევა. უკანონო მიგრანტები განსაკუთრებით ხშირად არიან დისკრიმინაციის, ექსპლუატაციისა და მარგინალიზაციის მსხვერპლი, ცხოვრობენ „ჩრდილში“ და ეშინიათ, რომ იჩივლონ თავიანთი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისად, ისინი პრაქტიკაში ხშირად ვერ სარგებლობენ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით.

მიგრანტების წინააღმდეგ დარღვევები, როგორც წესი, მოიცავს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე წვდომის არარსებობას, როგორიცაა, მაგალითად, უკანონო თავისუფლების აღკვეთა, წამება, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა, სიძულვილის ენის გამოყენება და ა.შ. ასევე ხშირად ირღვევა მათი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, როგორიცაა ჯანმრთელობის და განათლების უფლება. მათი უფლებების დარღვევის გამომწვევი მიზეზი ხშირად არის დისკრიმინაციული კანონები, საზოგადოებაში არსებული წინასწარი განწყობები ან ქსენოფობია.

სწორედ ამიტომ არის საჭირო, გვახსოვდეს პრინციპი „ადამიანის უფლებები ყველასთვის“.

ყველა ადამიანს აქვს უფლებები მათი საიმიგრაციო სტატუსის მიუხედავად. ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით გამოცხადებული „ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა“ (დეკლარაცია, მუხლი 2). შესაბამისად, ყველას, მათ შორის მოქალაქეს და კანონიერ და უკანონო მიგრანტს – აქვთ ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გარანტირებულია საერთაშორისო დოკუმენტებით და ეროვნული კანონმდებლობით.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი არის მიგრანტთა დაცვის მთავარი წყარო, მათ ასევე იცავს საერთაშორისო სამართლის სხვა დარგებიც, კერძოდ: საერთაშორისო შრომის სამართალი⁷, ლტოლვილთა სამართალი⁸, საერთაშორისო სისხლის სა-

⁷ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები და სტანდარტები.

⁸ კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ.

მართალი⁹, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი¹⁰, საკონსულო სამართალი¹¹ და საზღვაო სამართალი¹².

მიგრანტების უფლებები დაცულია უნივერსალური და რეგიონული საერთაშორისო დოკუმენტებით, როგორცაა: ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი. ასევე, მიგრანტი მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ კონვენცია, ლტოლვილის სტატუსის შესახებ კონვენცია და ა.შ.

მიგრანტები სარგებლობენ ადამიანის უფლებების სამართლით გათვალისწინებული თითქმის ყველა უფლებით. ნაწილობრივ შეზღუდულია ქვეყანაში ცხოვრების უფლება, ასევე დანიშნულების სახელმწიფოში ზოგიერთი პოლიტიკური უფლება (მაგალითად, ხმის მიცემა). თუმცა არ არსებობს არანაირი შეზღუდვა დისკრიმინაციის აკრძალვის და თანასწორობის პრინციპებთან მიმართებით, ასევე შემდეგ უფლებებთან დაკავშირებით:

სივითების უფლება	კანონის წინაშე თანასწორობის უფლება	პირადი ხელშეუხებლობა და უსაფრთხოება	მონღონისგან, იძულებითი შრომისა და წაგებისგან თავისუფლების უფლება
განათლების უფლება	ჯანმრთელობის უფლება	კულტურული იდენტობის უფლება	საგარეო სასაზღვაო უფლება

მართალია, შრომის უფლება მიგრანტებისთვის ყოველთვის არ არის გარანტირებული (მაგალითად, უკანონო მიგრანტებისთვის), დასაქმების შემთხვევაში ყველა მიგრანტს აქვს უფლება, მოითხოვოს მის მიმართ შრომის სტანდარტების დაცვა დანიშნულების სახელმწიფოს მოქალაქეების მსგავსად.

ასევე, საერთაშორისო სამართალი აღიარებს ყველას უფლებას, დატოვოს ნებისმიერი სახელმწიფო, მათ შორის, თავისი. თუმცა არ არის გარანტირებული სხვა სახელმწიფოში შესვლის უფლება. სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა, განსაზღვროს წესები ქვეყანაში შესვლისა და გაძევების შესახებ, მათ შორის, მიგრანტებისთვის. თუმცა, სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ადამიანის დაბრუნება ისეთ ქვეყანაში, სადაც მას ელოდება წამება, ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევა ან დევნა. ასევე, სახელმწიფო ვალდებულია, რომ დაადგინოს პროცედურა სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვით, როდესაც მიიღებს გადაწყვეტილებას პირის გაძევების ან დებორტაციის შესახებ.

⁹ პალერმოს კონვენცია.
¹⁰ 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები.
¹¹ ვენის კონვენცია საკონსულო სამართლის შესახებ.
¹² საზღვაო შრომის კონვენცია.

2.1 მიგრანტთა უფლებები საქართველოში

მიგრანტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, იზრდება მათ მიერ შეტანილი წვლილი როგორც ქართულ ეკონომიკაში, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებასა თუ ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობაში. შესაბამისად, ქვეყნის ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით, ამ პოტენციალის ასათვისებლად და სწორად სამართავად მნიშვნელოვანია ამ სფეროებში განსაზღვრული პრაგმატული პოლიტიკა და შესაბამისი პროგრამების დანერგვა.

საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5074437?publication=0>

საქართველოში მიგრაციის პოლიტიკა განსაზღვრულია საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიით, რომელიც აღიარებს იმიგრაციის მნიშვნელობას ქვეყნის განვითარებისთვის.

საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ არის მთავარი დოკუმენტი, რომელიც იცავს და განამტკიცებს საქართველოში უცხოელების/მიგრანტების უფლებებსა და სამართლებრივ მდგომარეობას. კანონით განმტკიცებულია მიგრანტთათვის ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები და მათი დაცვის სამართლებრივი გარანტიები, ასევე აკრძალულია დისკრიმინაცია უცხოელთა მიმართ.

უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის რეგულირება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ▶ ნაცვალების
- ▶ ოჯახის ერთიანობის
- ▶ დისკრიმინაციის დაუშვებლობის
- ▶ არგაძევების
- ▶ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის.

კანონის შესაბამისად, საქართველოში უცხოელს აქვს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები, როგორებიც – საქართველოს მოქალაქეს და აკისრია ისეთივე მოვალეობები, როგორებიც – საქართველოს მოქალაქეს, თუ საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტებით რამე სპეციალური გამონაკლისები არაა საგანგებოდ დაშვებული.

საქართველოში ყველა უცხოელი თანასწორია კანონის წინაშე, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, საქმიანობის სფეროს და სხვა გარემოებების მიუხედავად.

საქართველო იცავს თავის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელის სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას, უფლებებსა და თავისუფლებებს.

საქართველოში უცხოელს საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული აქვს პიროვნებისა და საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა, პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩაურევლობა, ღირსებისა და რეპუტაციის პატივისცემა, კორესპონდენციის საიდუმლოების დაცვის უფლება, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს.

საქართველოში მიგრანტებისთვის, *inter alia*, გარანტირებულია:

საინვესტიციო / სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება	ურომითი საქმიანობის უფლება	ჯანმრთელობის დაცვის უფლება	სოციალური უზრუნველყოფის უფლება
ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები	განათლების მიღების უფლება	კულტურული ღირებულებებით სარგებლობის უფლება	საზოგადოებრივ გაერთიანებებში მონაწილეობის უფლება
სიტყვის, აზრის, სინდისის, აღსარებულობისა და რწმენის თავისუფლება	მიმოსვლისა და სახმრეკრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება	გარემოსაწვლუბაზე ხელმისაწვდომობის უფლება	თავშესაფრის მიღების უფლება
უპროპაგანდა და განათლების უფლება	სამართლიანი სასამართლოს უფლება	მოქალაქეობის სახელმწიფო კონსულთან კომუნიკაციის თავისუფლება	

კანონით შეიძლება შეიზღუდოს რომელიმე უფლება საერთაშორისო სამართლით დაშვებულ ფარგლებში ან დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების, მართლმსაჯულების განხორციელების ან საქართველოში მცხოვრებ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით.

2.2. სახელმწიფო პოლიტიკა მიგრანტებთან მიმართებით¹³

აფრიკისა და აზიის ქვეყნების წარმომადგენელი მოქალაქეები საქართველოში სხვადასხვა დაბრკოლებას აწყდებიან, მაგალითად, პრობლემურია ბინადრობის ნებართვის მიღება. ბინადრობის ნებართვის გაცემაზე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაუსაბუთებელი უარის შემთხვევების მაღალი მაჩვენებელი, სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო დისკრიმინაციულ პოლიტიკაზე მიაწინებს.

¹³ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) შენიშვნა

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უარი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, როგორც წესი, დაუსაბუთებელია. სააგენტო, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტისას, ეყრდნობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნას ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე. როდესაც საკითხი აზიისა და აფრიკის ქვეყნების მოქალაქეებს ეხებათ, უმეტეს შემთხვევაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნა მიუთითებს ბინადრობის ნებართვის მინიჭების მიზანშეწონილობაზე, *სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზეზებიდან გამომდინარე*. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, სერვისების განვითარების სააგენტო სათანადოდ აღარ იკვლევს ბინადრობის ნებართვის მაძიებლის კერძო ინტერესს, რომელიც, მაგალითად, ოჯახთან ერთად საქართველოში კანონიერად ცხოვრებას ან/და მუშაობასთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება სასამართლო წარმოებას, ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარს უცხობ ქვეყნის მოქალაქეებს, სასამართლო ზოგჯერ მაშინაც ეუბნება, თუ ისინი ამ მოთხოვნით ოჯახის გაერთიანების მიზნით მიმართავენ. ასევე, როდესაც დავის საგანი ეხება არა მუდმივ, არამედ სასწავლო ან შრომითი ბინადრობის ნებართვას, სასამართლო, ხშირად იზიარებს სერვისების განვითარების სააგენტოსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პოზიციას და არ აკმაყოფილებს სასარჩელო მოთხოვნას. სასწავლო ბინადრობის ნებართვაზე უარს ეუბნებიან ისეთ სტუდენტებს, რომლებსაც სტუდენტის აქტიური სტატუსი აქვთ საქართველოში. ასეთი სტუდენტები ზოგჯერ იძულებული ხდებიან, შეწყვიტონ სწავლა და დატოვონ საქართველო, რადგან ვერ იღებენ სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო ბინადრობის ნებართვას და არ ეძლევათ საქართველოში კანონიერი საფუძვლით ყოფნის საშუალება¹⁴.

მიგრანტთა დაცვის უფლების სრულყოფილად განხორციელებას აფერხებს ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არის სახელმწიფო საიდუმლოება და საქმის განხილვისას, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, მხოლოდ უფლებამოსილ პირს აქვს მისი გაცნობის შესაძლებლობა, ხოლო საქმის სასამართლო ეტაპზე განხილვისას – მოსამართლეს. შედეგად, ფერხდება, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მესამე პუნქტით განმტკიცებული, დაცვის უფლების გარანტიით სრულყოფილად სარგებლობის პროცესი.

სახელმწიფო, აზიისა და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლებს ხშირად დაუსაბუთებელ უარს ეუბნება საქართველოს საზღვრის გადმოკვეთაზე.

ასევე, 2020-2021 წლებში კოვიდ პანდემიის პირობებში, გამოიკვეთა მიგრანტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობასთან დაკავშირებული სირთულეები.

¹⁴ ვრცლად, იხილეთ TDI-ის ანგარიში უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ: http://tdi.ge/sites/default/files/tdi_angarishi_rasobrivi_diskriminacia_ucxoelebis_uplebebi.pdf

მიგრაციის მართვაში მონაწილე მხარეები

საერთაშორისო მიგრაცია საკმაოდ კომპლექსური პროცესია. იგი მოიცავს გადაადგილების სხვადასხვა ტიპსა და ფორმას, მრავალ გეოგრაფიულ ადგილს. მიგრაციას მთავრობები სრულად ვერ აკონტროლებენ, განსაკუთრებით, გლობალიზებულ სამყაროში, სადაც ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობები თუ დამოკიდებულებები დღითი დღე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

დღეს, მიგრაციის მართვა მრავალმხრივი საკითხია, სადაც სხვადასხვა თემატური სფერო იკვეთება. მასში მონაწილეობენ ის უწყებები, რომელთაც პასუხისმგებლობა აკისრიათ ამ სფეროებში. მიგრაციის მართვის პროცესში დიდ როლს თამაშობენ საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე ადგილობრივი ორგანიზაციები. ამასთან, მზარდია ადგილობრივი თვითმმართველობის როლი მიგრაციის მართვაში.

3.1. სახელმწიფო სტრატეგიები

მიგრაციის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრისა და საქართველოში მიგრაციული პროცესების მართვის გაუმჯობესების მიზნით, 2010 წლიდან შეიქმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია.

კომისიის ფუნქციები და ამოცანებია:

- ▶ წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება შიდა და გარე მიგრაციის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრისა და საქართველოში მიგრაციული პროცესების მართვის სახელმწიფოებრივი სისტემის გაუმჯობესების მიზნით;
- ▶ წინადადებების შემუშავება ემიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციისათვის;
- ▶ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, მიგრაციის სფეროში განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით შესაბამისი წინადადებების შემუშავება.

კომისიის შემადგენლობაში შედიან მიგრაციაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოები. მის მუშაობაში მონაწილეობენ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები საკონსულტაციო სტატუსით.

კომისიის თავმჯდომარეა იუსტიციის მინისტრი, თანათავმჯდომარე – შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

კომისიის შემადგენლობაში არ შედიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მათ აქვთ პირდაპირი შეხება მიგრანტთა სხვადასხვა ჯგუფთან (მათ შორის, პოტენციურ მიგრანტებთან) და, შესაბამისად, კარგად არიან ინფორმირებული მათი საჭიროებების შესახებ. მუნიციპალიტეტების ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც მიგრაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების, ასევე სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფისთვის სახელმწიფო და დონორული მხარდაჭერის ფარგლებში მოქმედი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების კუთხით. ასევე კომისიის შემადგენლობა არ მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციას ფართო სპექტრს, რომლებიც აქტიურად მუშაობენ მიგრანტთა უფლებებზე.

3.2. საერთაშორისო ორგანიზაციები

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)

[HTTP://GEORGIA.IOM.INT/GE](http://georgia.iom.int/ge)

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD)

[HTTP://WWW.ICMPD.ORG/HOME](http://www.icmpd.org/home)

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR)

[HTTP://WWW.UNHCR.ORG](http://www.unhcr.org)

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO)

[HTTP://WWW.ILO.ORG/GLOBAL/LANG--EN/INDEX.HTM](http://www.ilo.org/global/lang-en/index.htm)

გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO)

[HTTPS://EN.UNESCO.ORG](https://en.unesco.org)

ევროკავშირი (EU)

[HTTP://EC.EUROPA.EU/IMMIGRATION/NODE_EN](http://ec.europa.eu/immigration/node_en)

გაეროს სახელმწიფო მომხსენებელი მიგრანტების აღმზრდის უფლებებზე

[HTTP://WWW.DHCHR.ORG/EN/ISSUES/MIGRATION/SRMIGRANTS/PAGES/SRMIGRANTSINDEX.ASPX](http://www.dhchr.org/en/issues/migration/srmigrants/pages/srmigrantsindex.aspx)

საქართველოში IOM 1993 წლიდან მუშაობს. იგი საქართველოს მთავრობას დაეხმარა მიგრაციის მართვის სისტემის შემუშავებაში, რომელსაც შეუძლია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპლექსური რეაგირების მოხდენა მზარდ მიგრაციულ გამოწვევებზე. IOM-მა საქართველოს გაუზიარა თავისი გამოცდილება ისეთ სფეროებში, როგორიცაა მოქმედება საგანგებო სიტუაციებში და კრიზისის შემდგომი რეაგირება, მიგრანტთა ჯანდაცვა, იმიგრაცია და საზღვრის მართვა, ადამიანით ვაჭრობის და საზღვრის კვეთის წესების დარღვევის თავიდან აცილება და მათთან ბრძოლა, მიგრაციის პოლიტიკა და კვლევა. მიგრაციის სფეროსთან კავშირში მყოფ სტრუქტურებში გატარდა ორგანიზაციული გაძლიერების ღონისძიებები. IOM ასევე ახორციელებს მიგრანტების უფლებებზე ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებს და თანამშრომლობს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ შორის, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტთან (TDI). საქართველოში IOM-ის მთავარი ოფისი არის თბილისში. ორგანიზაციას აქვს აგრეთვე ოთხი ოფისი ბათუმში, ქუთაისში, ფოთსა და თელავში.

3.3. არასამთავრობო ორგანიზაციები

არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში მიგრანტების საკითხებზე მუშაობენ

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

[HTTP://WWW.TDI.GE](http://www.tdi.ge)

საქართველოს გაეროს ასოციაცია

[HTTP://WWW.UNA.GE/HOME/ENG](http://www.una.ge/home/eng)

უფლებები საქართველო / RIGHTS GEORGIA

[HTTP://WWW.RIGHTS.GE/KA](http://www.rights.ge/ka)

სამუქალაქო განვითარების სააგენტო

[WWW.MIGRANT.GE](http://www.migrant.ge)

ინოვაციების და რეფორმების ცენტრი

[WWW.IRC.GE](http://www.irc.ge)

მიგრაციის ცენტრი

[HTTP://WWW.FACEBOOK.COM/MIGRATION-CENTER](http://www.facebook.com/migration-center)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

[WWW.GYLA.GE](http://www.gyla.ge)

ახალგაზრდა გენიერებათა კავშირი „ინტელექტი“

[HTTPS://WWW.INTELLECT.ORG.GE](https://www.intellect.org.ge)

ფონდი აზნაუჩიშვილის (AIC)

[HTTPS://AIC.ORG.GE](https://aic.org.ge)

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) მუშაობს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა და უცხოელთა უფლებების ადვოკატირების, ტოლერანტობის კულტურის ამაღლებისა და თანასწორობის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრა და რასიზმთან ბრძოლა TDI-ის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

TDI შეისწავლის უცხოელთა უფლებრივ მდგომარეობას, რასობრივი დისკრიმინაციის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებს და მათზე სახელმწიფოს რეაგირებას, სახელმწიფოს პოლიტიკას უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობის მიმართ. ასევე ახორციელებს საგანმანათლებლო-ცნობიერების ასამაღლებელ პროექტებს მიგრანტების პრობლემების შესახებ საზოგადოების ინფორმირების, განწყობების შეცვლისა და ტოლერანტული გარემოს წახალისების მიმართულებით.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროექტის EMERGE ფარგლებში, TDI თანამშრომლობს მედიაორგანიზაციებთან და საქართველოს უნივერსიტეტებთან მიგრანტებისა და მიგრაციის გაშუქების სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით.

მიგრანტების თემის ეთიკური, არადისკრიმინაციული და ინკლუზიური გაშუქება

თამარ კინწურაშვილი

მედიის სოციალური პასუხისმგებლობა მიგრანტთა საკითხების ეთიკურად და არადისკრიმინაციულად გაშუქებასთან ერთად, პოზიტიურ ვალდებულებასაც ითვალისწინებს. მედიის პოზიტიური ვალდებულება, პირველ რიგში, განსხვავებული ჯგუფების ინკლუზიური გაშუქებაა, რაც მიგრანტებს საშუალებას მისცემს, საზოგადოებას ხმა მიაწვდინონ და განსხვავებებთან ერთად, ის საერთო ღირებულებები და ინტერესები დაანახონ, რაც საზოგადოებას კი არ ყოფს, არამედ აერთიანებს. ინკლუზიური გაშუქება გულისხმობს, რომ მედიამ არა მხოლოდ კონფლიქტური ვითარებები ასახოს, რომელიც ძირითადად დომინანტ ჯგუფთან იჩენს თავს და ეთნიკურ ან რელიგიურ განსხვავებებს ეფუძნება, არამედ სხვადასხვა საკითხთან მიმართებით საზოგადოებას მიგრანტების პერსპექტივაც გააცნოს, რაც იმის დანახვაში დაეხმარება, რომ განსხვავებების მიუხედავად, მათ ბევრი რამ აერთიანებთ.

ლიბიიდან იტალიაში თავშესაფრის მაძიებელთა ნავით მოგზაურობის ისტორიის მედიაგაშუქების ქვემოთ განხილული მაგალითი კარგი ილუსტრირებაა იმისა, თუ როგორ შეიძლება მედიამ ემპათია გააჩინოს იმ ადამიანთა მიმართ, ვინც ფორმალურად შესაძლოა კანონდამრღვევად ითვლებოდეს.

2009 წელს იტალიურმა La Repubblica-მ გამოაქვეყნა სტატია, სათაურით „1 წელი, 4 თვე და 21 დღე. მოგზაურობა სიკვდილიდან იტალიამდე¹⁵“. მასალა შეეხებოდა 78 მიგრანტს, რომლებიც თავშესაფრის საძიებლად ლიბიიდან ნავით იტალიისკენ მიემართებოდნენ და მათგან სიკვდილს მხოლოდ 5 გადაურჩა. გადარჩენილები იტალიის კუნძულ ლამპედუზას მიაღწენ. იტალიური კანონმდებლობით, 5 გადარჩენილი ადამიანი უკანონო ემიგრაციისთვის სისხლის სამართლის დამნაშავედ ითვლებოდა. გაზეთმა ამ ფაქტს მე-2 და მე-3 გვერდები დაუთმო და იტალიურ საზოგადოებას ერთდეროთი გადარჩენილი ქალის, ტიტის ტაზარარის ისტორია უამბო. მასალის ავტორმა ოთხი დღე დაჰყო პალერმოს საავადმყოფოში, სადაც ტიტის მკურნალობდნენ და ახალგაზრდა ერიტრეელი ქალის ისტორიის რეკონსტრუირება ასე მოახდინა. ჟურნალისტმა თხრობა ერთი წლის წინანდელი ამბების გახსენებით დაიწყო: როგორ აგროვებდა ტიტი ფულს უკეთესი ცხოვრებისთვის, აღწერა სხვა ადამიანების ცხოვრების პირობები, აღადგინა მოგზაურობის დეტალები სუდანის უდაბნოდან ლიბიამდე და ის ტრაგიკული ეპიზოდები, რაც ტრეფიკინგს უკავშირდება. ავტორმა გადმოსცა გემზე მყოფთა იმედები და შიში და თავისი გაშუქებით, ერთი შეხედვით, კანონდამრღვევთა მიმართ საზოგადოების თანადგომა გააჩინა.

¹⁵ Media Diversity Institute, Article 19 (2012), Reporting Ethnicity and religion. <https://www.article19.org/data/files/medialibrary/3093/7d0676b-793d318.pdf>

ეთიკური ჟურნალისტიკის ცენტრის მიერ შემუშავებული მიგრანტთა საკითხების გაშუქების ეთიკური გზამკვლევი მედიისთვის ხუთპუნქტიან მითითებებს მოიცავს, ესენია¹⁶:

1. ფაქტები მიკერძოების ნაცვლად

- ▶ რამდენად ვიცავთ **სიზუსტეს** და ვართ **მიუკერძოებლები, ინკლუზიურები** და **ფაქტებზე ორიენტირებული** გაშუქებისას?
- ▶ რამდენად **დისტანცირებულად ვმოქმედებთ** იმ ნარატივებისგან, რომლებიც ფაქტებზე მეტად პოლიტიკიდან და ემოციებიდან იღებს სათავეს?
- ▶ რამდენად **სამართლიანად** და **გამჭვირვალედ** ვაშუქებთ მიგრაციის გავლენას საზოგადოებებზე?

2. იხილეთ კანონები

- ▶ თავშესაფრის მაძიებელი? ლტოლვილი? ტრეფიკინგის მსხვერპლი? შრომითი მიგრანტი? ვიყენებთ თუ არა ტერმინ **არალეგალ მიგრანტს**? რამდენად გვესმის და სწორად ვიყენებთ მიგრანტის დეფინიციას და ვუხსნით თუ არა სათანადოდ ჩვენს აუდიტორიას **საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული კანონმდებლობით** გარანტირებულ მიგრანტის უფლებებს?

3. გამოავლინე კუთხეები

- ▶ ჰუმანურობა ეთიკური ჟურნალისტიკის არსია. ამასთანავე, ჩვენ უნდა **გავაკონტროლოთ ემოციები**, თავი ავარიდოთ ვიქტიმიზაციას, ვითარების გამარტივებას და ვიწრო ჰუმანიტარულ კონტექსტში გაშუქებას, რაც ფართო სურათის დანახვას უგულებელყოფს.

4. ილაპარაკე ყველასთვის

- ▶ ისმის თუ არა **მიგრანტთა ხმები**? **ვუსმენთ თუ არა იმ თემებს**, რომელთაც მიგრანტები მიეკუთვნებიან? დასვით კითხვა, რამდენად არიან წარმოდგენილი თვითიდენტიფიცირებული თემები და რამდენად აქვთ მიგრანტებს საუბრის შესაძლებლობა.

5. დაუპირისპირდი სიძულვილს

- ▶ ავარიდეთ თუ არა თავი **ექსტრემიზმს**? დავუთმეთ თუ არა დრო იმის შეფასებას, აღვივებს თუ არა მიგრანტებთან დაკავშირებული შინაარსი სიძულვილს? ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ხროვა“, „მოზღვაება“ და „ტალღა“, სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ, ისევე როგორც „რასიზმისა“ და „ქსენოფობიის“ განურჩევლად გამოყენებას.

მიგრანტთა საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) 7 რეკომენდაცია ჟურნალისტებისთვის¹⁷ კი ქვემოთ ქართული გამოცდილებისა და რესურსების გათვალისწინებით არის ადაპტირებული და შემდეგ საკითხებს მოიცავს:

¹⁶ Ethical Journalism Network. Ethical Guidelines on Migration Reporting, <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/infographics/ethical-guidelines-on-migration-reporting>

¹⁷ IOM, How to cover Migration on Media? 7 recommendations for Journalists, <https://rosanjose.iom.int/site/en/blog/how-cover-migration-media-7-recommendations-journalists>

- ▶ **ტერმინოლოგია.** ჟურნალისტები ხშირად არასათანადო ტერმინებს იყენებენ, როგორიცაა „არალე-გალი“, „უცხო“, ან უჭირთ ერთმანეთისგან განასხვავონ თავშესაფრის მაძიებელი, მიგრანტი, ლტოლვილი, იძულებით გადაადგილებული პირი და არ იციან, საერთაშორისო კანონმდებლობით გარანტირებული რომელი უფლებები იცავს მათ. IOM ჟურნალისტებს მიგრაციის ლექსიკონის¹⁸ გამოყენებას და ონლაინსესიების¹⁹ გავლას ურჩევს.

რესურსები ქართულ ენაზე: მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი²⁰ და დამხმარე ლექსიკონი ჟურნალისტებისთვის²¹.

- ▶ **პატივი უსიო მიგრანტთა ღირსებას.** მოერიდეთ არაჰუმანური ენისა და მეტაფორების გამოყენებას, როგორიცაა მიგრანტების ბუნებრივ კატასტროფებთან (ხშირად წყალდიდობა) ან ცხოველებთან, განსაკუთრებით მწერებთან დაკავშირება.

ქართულ პრაქტიკაში კი მიგრანტების შეურაცხმყოფელი ლექსიკა აქცენტს მათ „უცხოტომელობაზე“ და სარწმუნოებრივ განსხვავებულობაზე („ურჯულო“, „მაჰმადიანი“) აკეთებს და ხშირად ისტორიულ ტრავმებს აღვივებს. მედიას ასევე არ აქვს სპეციფიკური ცოდნა ისლამთან დაკავშირებულ რელიგიურ ტერმინებზე, რასაც ხშირად სიძულვილის ჯგუფები მიგრანტთა მიმართ არასწორად იყენებენ.

რესურსები ქართულ ენაზე: იხილეთ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ მომზადებული ლექსიკონი კულტურული მრავალფეროვნების გაშუქებასთან დაკავშირებით: http://tdi.ge/sites/default/files/mravalperovnebis_gashukeba.pdf

- ▶ **დაუპირისპირი სიძულვილის ენა.** თავი აარიდე სტერეოტიპებს, ნეგატიურ გამოხატვას, რომელიც ეჭვმიტანილის ეთნიკურ წარმომავლობას უთითებს, მაგალითად, კრიმინალის გაშუქებისას. ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელმა შეიმუშავა ინსტრუმენტი²², რომელიც შეახსენებს ჟურნალისტებს, რომ ნებისმიერ სკანდალურ ფრაზას/ნათქვამს საინფორმაციო ღირებულება არ გააჩნია.

- ▶ **დაუკავშირელი მიგრანტებს.** ჩართე მრავალფეროვანი წყაროები, მიგრანტები, ლტოლვილთა ჯგუფები, აქტივისტები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლიათ სასიცოცხლო ინფორმაცია მოგაწოდონ. მნიშვნელოვანია, ისმოდეს მიგრანტთა ხმები და გაშუქდეს მიგრაციის ადამიანური ასპექტები, განხორციელდეს ადვოკატირება და მოხდეს ჰუმანიტარული კრიზისების და/ან ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტების დოკუმენტირება, რაც პრობლემებს შეამცირებს.

¹⁸ IOM (2011), Glossary on Migration. 2nd Edition, https://publications.iom.int/system/files/pdf/iml25_1.pdf

¹⁹ IOM. E-Campus, <https://www.ecampus.iom.int/>

²⁰ მიგრაციის სამთავრობო კომისია, მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, <https://migration.commission.ge/files/glosaary.pdf>

²¹ მედიის განვითარების ფონდი, 2020. მიგრანტები. დამხმარე ლექსიკონი ჟურნალისტებისთვის, <http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/181>

²² Ethical Journalism Network. Hate Speech, <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/infographics/5-point-test-for-hate-speech-english>

- ▶ **უზრუნველყავი დაგეგმვის გეგმვა.** თავი აარიდე ვიქტიმიზაციას და ზედმეტ გამართივებას. უმეტესწილად მიგრანტები ორ უკიდურესობად – ან პრობლემად, ან მსხვერპლად – აღიქმებიან. დაუპირისპირდი ამ მიდგომებს და პოპულარიზება გაუწიე მიგრაციის სხვა ასპექტებს, მაგალითად, გააშუქე შენი ქვეყნის განვითარებაში მიგრანტების პოზიტიური წვლილი.
- ▶ **განაითავა საერთაშორისო ფორუმი.** მიგრაციის ამბები გლობალურ კონტექსტში განიხილე, ადგილობრივი და ეროვნული ინტერესები მიგრაციის და მისი გამომწვევი მიზეზების გაგებაზე შეიძლება დომინირებდეს. მიგრაციის, როგორც ერებს შორის კონფლიქტის ფორმულირებამ, შესაძლოა, გარკვეული ჯგუფებისა და ინდივიდების წინააღმდეგობრივი შეხედულებები მიგრანტთა უფლებებისა და ღირსების ხარჯზე გამოკვეთოს.
- ▶ **ხელი შეუწყვე მტკიცებულებებზე დაფუძნებულ საჯარო დისკუსიას.** გამოიყენე ზუსტი ინფორმაცია და რესურსები, გააცნობიერე, რომ კორელაცია მიზეზშედეგობრიობას არ ნიშნავს, იყავი გამჭვირვალე და გააზიარე საჯარო რესურსები საკითხის შემდგომი შესწავლისთვის. გადაამოწმე ფაქტები და გააანალიზე განცხადებები, რათა ხელისუფლება ანგარიშვალდებული გყავდეს, ხელი შეუწყვე საზოგადოების ინფორმირებას და მიგრაციის საკითხის სიღრმისეულ გააზრებას.

მედიის თვითრეგულირება და ქსავის წესები

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56.3-ე მუხლი კრძალავს ისეთი პროგრამების გადაცემას, რომელთა შინაარსიც ხელს უწყობს სიძულვილის გაღვივებას, დისკრიმინაციას, ან შეურაცხყოფს პიროვნებას ან ჯგუფს ეთნიკური, რელიგიური ან სხვა კუთვნილების საფუძველზე. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი პროგრამები, რომელთა მიზანია საზოგადოებაში არსებული სიძულვილის ან დისკრიმინაციის პრობლემის ილუსტრირება. საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთადერთი არხია, რომელსაც მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-16 მუხლი აკისრებს შინაარსობრივ ვალდებულებას, „პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება“²³.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-9 თავი მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ტოლერანტობის შესახებ ანტიდისკრიმინაციულ დებულებებს შეიცავს და ეთნიკურ, რელიგიურ და სხვა უმცირესობების ჯგუფებს ეხება. 31-ე მუხლის თანახმად, „მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე“. კოდექსი მიგრანტების მიმართ შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის შესახებ კონკრეტულ დებულებებს არ შეიცავს. 33-ე მუხლი შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის თაობაზე ზოგად რეკომენდაციებს გვთავაზობს: „მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის, გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება“²⁴.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-7 პრინციპის მიხედვით, „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით“²⁵.

²³ საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, 4 მარტი, 2014, <http://gncc.ge/uploads/other/1/1252.pdf>

²⁴ მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, 2009 წლის 12 მარტი, <http://gncc.ge/uploads/other/1/1034.pdf>

²⁵ იბილეთ იქვე, <http://qartia.ge/en/charter/article/38674-principles-of-charter>

2006 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საკუთარი შიდა ქცევის კოდექსი შეიმუშავა²⁶. მისი მე-15 მუხლი, რომელიც მრავალფეროვნების საკითხებს შეეხება, გაშუქებისას ზღუდავს ისეთი სიტყვების, განცხადებებისა და სურათების გამოყენებას, რამაც შეიძლება პიროვნების ან საზოგადოების გარკვეული ნაწილის რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა აზრის, კულტურული ან სოციალური წარმომავლობის, ოჯახის, ქონების, დაბადების ან სხვა სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკისა ან სხვა ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია გამოიწვიოს. ტერმინოლოგიის შესახებ ქვეპუნქტი 15.6 რეკომენდაციას უწევს სარედაქციო პერსონალს, არ გამოიყენოს „ისეთი ტერმინები, რომლებიც კონკრეტული ეთნიკური და რელიგიური უმცირესობისთვის შეურაცხმყოფელი შეიძლება აღმოჩნდეს“. ქვეპუნქტი არ მოიცავს რეკომენდაციებს მიგრანტებთან დაკავშირებული რაიმე კონკრეტული ტერმინოლოგიის შესახებ, მაგრამ ის კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებით გარკვეულ რეკომენდაციებს გასცემს, მაგალითად, არ გამოიყენონ „ურია“ „ებრაელის“ ნაცვლად და „თათარი“ „აზერბაიჯანელის“ ნაცვლად²⁷.

²⁶ საზოგადოებრივი მაუწყებელი, GPB, ქცევის კოდექსი, http://mdfgeorgia.ge/uploads/new_gpb.pdf კოდექსი.
http://www.mdfgeorgia.ge/uploads/mdf/uploads/GPBs_in-house_Code_of_Conduct_ENG_-_Copy.pdf.

²⁷ იხილეთ იქვე, გვ. 38.

ისტორიული ტრავმის გალვივება

მრავალთაობიან ტრავმას, რომელსაც კონკრეტული კულტურული ჯგუფები განიცდიან, ისტორიულ ტრავმას უწოდებენ. მისთვის დამახასიათებელია წარსულის მოვლენების და პრობლემების თანამედროვე კონტექსტში გადმოტანა და კონკრეტული ეთნიკური თუ ეროვნული ჯგუფის, ასევე სახელმწიფოს წინააღმდეგ ემოციურ ნიადაგზე შუღლის გაღვივება. ამ დროს, ხშირად, სიძულვილის ენის გამოყენება და რეალური პრობლემებიდან ყურადღების წარსულზე გადატანა, ასევე ცალკეული ჯგუფების წინააღმდეგ საზოგადოების მობილიზება ხდება.

ქართულ დისკურსში ისტორიული ტრავმების გაღვივება ხშირად სწორედ თურქი და ირანელი მიგრანტების მიმართ იჩენს თავს. ერთი მხრივ, წარსული საფრთხეებიდან გამომდინარე ისმის მოწოდებები ამ ჯგუფებისთვის მიწის და სხვა საკუთრებრივი უფლების შეზღუდვის თაობაზე, მეორე მხრივ, ვრცელდება გაზვიადებული მონაცემები კონკრეტულად ამ ჯგუფების საკუთრებისა და მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე, რაც საზოგადოების დაშინებას ისახავს მიზნად.

მნიშვნელოვანია, ჟურნალისტმა თავი აარიდოს მიმდინარე მოვლენების წარსულის პერსპექტივიდან, ისტორიული მტრობის კონტექსტში გაშუქებას. ისტორიულ კონტექსტს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოუხმეთ, თუ ეს პირდაპირ უკავშირდება განსახილველ საკითხს.

მიგრანტების კრიმინალთან დაკავშირება

გახსოვდეთ, რომ კრიმინალს ეროვნება არა აქვს. ნუ მიუთითებთ პირის ეთნიკურ, რელიგიურ ან ეროვნულ იდენტობას კრიმინალის გაშუქებისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ უკავშირდება გასაშუქებელ თემას და ინფორმაცია მნიშვნელოვანია საკითხის არსში გასარკვევად. კრიმინალის მიგრანტებთან დაკავშირებით მედია ხელს უწყობს სტერეოტიპის დამკვიდრებას, რომ ამ ჯგუფის ყველა წარმომადგენელი დამნაშავეა.

ყალბი აგებები, მხდარი ინფორმაცია და მიგრანტები

8.1. სტატისტიკა VS გაზვიადება/თვალსაზრისი

მიგრანტებთან დაკავშირებული ასიმილაციის შიში ხშირად გაზვიადებულ მონაცემებს ან ისეთ დამკვიდრებულ კლიშეებს ეფუძნება, რომელთაც ფაქტობრივი საფუძველი არ გააჩნია.

ისეთ ზოგად ფრაზებს, როგორიცაა „საყოველთაოდ ცნობილი“, „საქართველოში ყველამ იცის“, „ეჭვგარეშეა“ და ა.შ., მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები და სანდო ფაქტობრივი მტკიცებულებები უნდა დავუპირისპიროთ.

მაგალითი 1. გაზვიადებული მონაცემები მოქალაქეობის მინიჭებაზე

განცხადება: საქართველოს მოქალაქეობა 20 000 თურქს მიენიჭა, ისინი პარტიას შექმნიან და აჭარის ავტონომიას მოითხოვენ

გადამოწვევის წყარო: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემები

დავკლავ: გააანალიზეთ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გამოთხოვილი სტატისტიკური მონაცემები²⁸ და შეაფასეთ, რამდენად მართებულია საწყისი განცხადება

პასუხისთვის ის: მითების დეტექტორის განმარტებითი სტატია²⁹

მაგალითი 2. გაზვიადებული მონაცემები ირანელების მიერ ბინების ფლობაზე

განცხადება: ხელისუფლების ზღვარგადასული ტოლერანტობის გამო ბინების უმეტესობას ირანელები ყიდულობენ

²⁸ <http://millab.ge/uploads/files/5c45bd10db71a.pdf>

²⁹ <http://mythdetector.ge/ka/myth/kremlis-news-front-amtkitsebs-rom-3-050-20-000-s>

გალამოშების წყარო: საჯარო რეესტრის მონაცემები³⁰, საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიერ შემუშავებული საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი³¹

დაკლუბა: გაანალიზეთ საჯარო რეესტრის მონაცემები და მიგრაციის 2017 წლის პროფილი და შეაფასეთ, რამდენად საფუძვლიანია განცხადება

პასუხისთვის ის: მითების დეტექტორის განმარტებითი სტატია³²

მიგრანტებთან დაკავშირებული მითების, ყალბი ინფორმაციისა და სტერეოტიპების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ, TDI-ის მიერ მომზადებული საინფორმაციო ვიდეო: <https://bit.ly/3b9fWLN>

8.2. კრიმინალური ინციდენტების განვითარება/გაფხვილება

კრიმინალის გაშუქების თემაზე ტვ „ობიექტივის“ სიუჟეტი³³ აზერბაიჯანის მოქალაქის მიერ არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ ერთ ძალადობრივ ინციდენტს მთლიანად უცხოელებზე განაზოგადებს. სიუჟეტი, სათაურით „უცხო ქვეყნის მოქალაქეების მალაღობა მჩვენებელი საქართველოში“, მანიპულაციურად აზიურ გარეგნობის ადამიანების კადრებით არის გადაფარული და დაუბალანსებელია რესპონდენტების შერჩევის მხრივაც. სიუჟეტი ამკვიდრებს შემდეგ მოსაზრებებს:

1. ყველა მიგრანტი კრიმინალია;
2. სახელმწიფო უცხოელების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე სამართლებრივად არ რეაგირებს;
3. სახელმწიფომ მიგრანტების ფილტრაცია უნდა მოახდინოს.

კრიტიკულად გაანალიზეთ გზავნილები, რომელთაც აღნიშნული სიუჟეტი შეიცავს და იფიქრეთ წყაროებსა და სტატისტიკურ მონაცემებზე, რომელიც ამ მოსაზრებების დასაბალანსებლად დაგჭირდებათ.

ფრაგმენტები სიუჟეტიდან	სიუჟეტის კრიტიკული ანალიზი
შპრალინტი: „სამოქალაქო აქტივობის ცენტრის წარმომადგენლები არაერთ ფაქტს იხსენებენ, როდესაც უცხოელების მიერ საქართველოში მომხდარი დანაშაულების მიმართ ქვეყნის გამოძიება შემწყნარებლური აღმოჩნდა... უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ჩადენილ დანაშაულების ობიექტური გამოძიება არ ხდება და ფაქტები სხვადასხვა მიზეზით ხშირად იჩქმალება“.	▶ სიუჟეტში არ არის წარმოდგენილი დანაშაულის სტატისტიკა და კონკრეტული მაგალითები, რაც მსგავს მოსაზრებას დაადასტურებდა ან უარყოფდა. ▶ სიუჟეტში არ არის წარმოდგენილი სამართალდამცავი და საგამოძიებო ორგანოების კომენტარები. ▶ სიუჟეტი უგულვებელყოფს დანაშაულის მოტივს – თავდამსხმელის შეურაცხადობას და ერთ კონკრეტულ ძალადობრივ ინციდენტს ყველა მიგრანტზე უსაფუძვლოდ განაზოგადებს.

³⁰ <http://millab.ge/uploads/files/5c45b91b2f43f.pdf>

³¹ https://migration.commission.ge/files/migraciis_profil_2017_a4_new.pdf

³² მითების დეტექტორი (2018), „მტკიცება, თითქმის თბილისში ბინების 70%-ს ირანელები ყიდულობენ, საფუძველს მოკლებულია“, <http://mythdetector.ge/ka/myth/mtkitseba-titkos-tbilisshi-binebis-70-s-iranelebi-qiduloben-sapudzvels-moklebulia> „კონსტანტინე გამსახურდიას მტკიცება, რომ მშენებარე ბინების უმრავლესობა ირანელებს და არაბებს ეკუთვნით, უსაფუძვლოა“, <http://mythdetector.ge/ka/myth/konstantine-gamsakhurdias-mtkitseba-rom-mshenebare-binebis-umravlesoba-iranelebs-da-arabebs>

³³ „ობიექტივი“, ახალი ამბები, 2 აპრილი, <https://www.mvideo.ge/v/3561722>

ფრაგმენტები სიუჟეტიდან	სიუჟეტის პრიტიკული ანალიზი
ჟურნალისტი: „უცხოელთა მხრიდან განხორციელებული ძალადობის ფაქტები მოქალაქეებსაც მრავლად ახსენდებათ, თუმცა ქსენოფობის სტატუსი რომ არ დაიმსახურონ, ამ თემაზე ხმამაღლა საუბრისგან თავს იკავებენ“.	▶ ჟურნალისტი მიგრანტებს მოძალადეებად დაუსაბუთებლად წარმოაჩენს, ფაქტობრივი მტკიცებულებების ნაკლებობას კი რესპონდენტების მხრიდან თვითცნობიერებით ხსნის, რაც ასევე დაუსაბუთებელია, რადგან სიუჟეტში რესპონდენტთა მხრიდან არაერთი ქსენოფობიური შეფასება გვხვდება.
მოქალაქე: „აი, აქ ემიგრანტთა რაოდენობა არის უთვალავი, მათ აიღეს ქალაქ თბილისის ცენტრალური მაგისტრალი – დავით აღმაშენებელი და შოთა რუსთაველი, ხვალ აიღებენ თბილისის მთლიანად, ხოლო ჩვენ გვექნება აქედან წასასვლელი“.	▶ სიუჟეტში მეტწილად მიგრანტების მიმართ ქსენოფობიური კომენტარებია შერჩეული. აღნიშნული მოსაზრება კი მიგრანტებს საფრთხედ წარმოაჩენს, რაც მათ მიერ ქალაქის აღებასა და ადგილობრივების ადგილის დაკავებაში გამოიხატება.
მოქალაქე: „თუ ჩვენ გვინდა ევროპული გზა, რასაც ჰქვია ევროპა, უნდა გავიზიაროთ, ალბათ, მათი ფასეულობები. თუ ეს ფასეულობაა!“	▶ აღნიშნული კომენტარი იმ ნარატივის გამოძახილია, რომელიც ამტკიცებს, რომ ევროპა თავს გვახვევს მიგრანტებს და რომ ევროინტეგრაცია მოძალადე მიგრანტების მიმართ შემწყნარებლობას გულისხმობს.
გაღრი ნაწყვეტი, სახრამთ კავკასიის ტერიტორიისა და პოლიტიკური ძალადობის კვლევის ხანსრი: „ჩვენმა ხელისუფლებამ საკმაოდ სერიოზული და აქტიური ფილტრაცია უნდა აწარმოოს იმ ხალხის, რომელიც ჩამოდის ჩვენთან“.	▶ მიგრანტთა მიმართ შეუწყნარებელ დამოკიდებულებას კიდევ უფრო ამძაფრებს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც მათი უფლებრივი შეზღუდვისა და ფილტრაციის აუცილებლობაზე საუბრობს.

8.3. ვიზუალური მანიპულაცია და პერიფერიალის ინსტრუმენტები

ვიზუალური მანიპულაცია ყალბი ინფორმაციის გავრცელებას მეტ დამაჯერებლობას სძენს, რადგან მტკიცებულების აღქმას ქმნის და მხოლოდ ნარტიულ თხრობას ან ადამიანურ წყაროს არ ეფუძნება. ყალბი ამბის დეკონსტრუირებაში ვიზუალური მანიპულაციის იდენტიფიცირება, ფოტოს ან ვიდეოს ავთენტური წარმომავლობის დადგენა მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე ვიზუალური მანიპულაციის სხვადასხვა ტიპი და მათი გადამოწმების ინსტრუმენტები განვიხილოთ. კერძოდ:

- 1. მცდარი კონტექსტი და ფოტომანიპულაცია
- 2. დამუშავებული ფოტო
- 3. მხატვრული ფილმის კადრების რეალურ ინფორმაციად გავრცელება
- 4. ავთენტური ვიდეო ყალბი აღწერილობით

8.3.1. მსდარი კონტენტის და ფოტოგანიულობის მუსლიმი მიგრანტები და მათი მიღება

„სპუტნიკ-საქართველოს“ მასალას „საქართველო მიგრანტთა მიღების ინდექსით 117-ე ადგილზე“ მანიპულაციური სათაური და ფოტო აქვს შერჩეული. „Sputnik-ლიტვა“-ზე დაყრდნობით, გამოცემა მიგრანტთა მიმღებლობის საერთაშორისო ინდექსის (Migrant Acceptance Index) მონაცემები გააშუქა. მასალის სათაური მანიპულაციურია, რადგან ინდექსი მიგრანტთა „მიმღებლობას“ ანუ მათ მიმართ ცალკეული ქვეყნების დამოკიდებულებებს ასახავს და არა „მიღებას“, რაც მოცემულ შემთხვევაში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საქართველო 117-ე ადგილს მიგრანტთა მიღების მონაცემების საფუძველზე იკავებს. მასალისთვის შერჩეული ფოტო მანიპულაციურია და მასზე ბურკიანი ქალები არიან გამოსახული, რაც ერთიანობაში აყალიბებს აღქმას, რომ ყველა მიგრანტი, რომელსაც საქართველო იღებს, მუსლიმი იდენტობისაა³⁴.



8.3.2. დამუშავებული ფოტო: SORRY MUSTAFA

გზავნილი: მუსლიმი მიგრანტები მოძალადეები არიან, ძალადობის მსხვერპლს მოძალადის მიმართ ემპათია უჩნდება

გავალითი: 2018 წლის 7 თებერვალს ონლაინგამოცემა „საქართველო და მსოფლიომ“ გამოაქვეყნა მასალა, სათაურით „მაპატიე, მუსტაფა!“, რომელშიც ნათქვამია, თითქმის ევროპელი ქალები ფლეშ-მობით #sorry მათზე მოძალადე მიგრანტებს მიტევებას სთხოვენ. გამოცემის თანახმად, „აქციის მიზანია ევროპელი ქალების მონაწილეობა ლტოლვილების წინაშე გარყვნილი საქციელისა და სამოსის გამო, რომლებმაც უბიძგეს მიგრანტებს ქალებზე სექსუალური ძალადობისკენ“. Geworld-ი ციტირებს ბრიტა ბორგს, რომელიც, გამოცემის ვერსიით, აქციის ორგანიზატორია. მასალას ასევე თან ახლავს ქალის ფოტო, რომელსაც ხელში უჭირავს ბანერი წარწერით „Sorry Mustafa“.

გალაშქრების ინსტრუმენტი: ფოტოს უკუძიების სისტემა (Reverse image search)

³⁴ მედიის განვითარების ფონდი (2017), მუსლიმთა თემატიკის გაშუქება ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და თურქულ ტრადიციულ და ახალ მედიაში, <http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/79>

გალაშფოთების მეთოდი: RevEye Chrome Extension-ის ბრაუზერში ჩაშენება საშუალებას მოგცემთ, ნებისმიერ ფოტოზე მაუსის მიტანით და მარჯვენა ღილაკზე დაჭერით, Reverse image search-ის საშუალებით ფოტო ერთდროულად რამდენიმე საძიებო სისტემაში (Google, Bing, Yandex, TinEye, Baidu) პირდაპირ ეძებოთ. ამისათვის All Search Engines-ის ღილაკს უნდა დააჭიროთ და ფოტოს ავთენტური, ყველაზე ადრე გამოქვეყნებული ვერსია იპოვოთ³⁵.

გალაშფოთების შედეგი: „საქართველო და მსოფლიოს“ მიერ გამოქვეყნებული ფოტო მანიპულაცურია, რადგან ორიგინალ ფოტოზე, რომელიც 4 წლით ადრე, 2014 წელს არის გადაღებული, უკრაინელი ქალია ასახული, წარწერით „გცევა? იფიქრე მათზე, ვინც სანგრებში ზის“ და არა – „მაპატიე, მუსტაფა!“. კამპანიის მონაწილეები უკრაინელი ჯარისკაცებისთვის თბილ ტანსაცმელს აგროვებდნენ. ფლეშმობი #sorry სოციალურ ქსელებში არ იძებნება, ბრიტა ბორგი კი, რომელსაც Geworld-ის ორგანიზატორობას მიაწერს, სინამდვილეში შვედი მომღერალია³⁶.

8.3.3. მსახველი ფილმის კადრების რეალურ ინფორმაციად წარმოჩენა

გზავნილი: ევროპაში მიგრაციის შედეგად ისლამიზაცია მიმდინარეობს, ევროინტეგრაცია რელიგიური იდენტობის დაკარგვას ისახავს მიზნად

გაგალითი: 2019 წლის 1 ოქტომბერს ფეისბუკგვერდმა „ანტი-პარადოქსი“ გამოაქვეყნა ვიდეო, სათაურით „როგორ ხდება ისლამის პროპაგანდა ბავშვებში, გერმანია“. ვიდეოში ახალგაზრდა ქალი ბავშვს გერმანულ ენაზე ისლამზე ესაუბრება, მუჰამედისა და ყურანის შესახებ ცნობებს აწვდის და ეუბნება, რომ დღეიდან ღმერთს ალაჰს დაუძახებენ.

გალაშფოთების ინსტრუმენტი: invid-project.eu

გალაშფოთების მეთოდი: Invid-ის ბრაუზერში ჩაშენების შემდეგ³⁷ პროგრამას ცალკე ფანჯარაში ვხსნით, ვიდეოს საძიებო ველში გადასამოწმებელ ბმულს ვაკოპირებთ, რის შედეგადაც ვიდეო კადრებად იშლება, კადრირებული ვიზუალის ფოტოს საძიებო სისტემით გადამოწმება შესაძლებელი.

გალაშფოთების შედეგი: რეალურად, ვიდეო წარმოადგენს ნაწყვეტს გერმანული საკულტო სერიალიდან Lindenstraße, რომელიც ტელეარხ Das Erste-ს ეთერში 1985 წლიდან გადის, ეს კონკრეტული ეპიზოდი კი 2006 წელს არის გამოსული³⁸.

³⁵ <http://millab.ge/ka/mil-resources/any/18/any/>

³⁶ მითების დეტექტორი (2018), რუსული მედიის დადგმული აქცია, თითქმის ქალები მოძალადე მიგრანტებს ბოდიშს უხდიან, <http://mythdetector.ge/ka/myth/rusuli-mediis-dadgmuli-aktsia-titkos-kalebi-modzalade-migrantებს-bodishs-ukhdian>

³⁷ <http://millab.ge/ka/mil-resources/any/39/any/>

³⁸ მითების დეტექტორი (2019), როგორ გააყალბა „ანტი-პარადოქსმა“ სერიალი Lindenstraße რელიგიური გრძნობებით მანიპულაციის მიზნით? <http://mythdetector.ge/ka/myth/rogor-gaaqalba-anti-paradoksma-seriali-lindenstrasse-religiuri-grdznobebit-manipulatsiis-0>




8.3.4. ავთენტური ვიდეო ყალბი აღწერილობით

გზავნილი: მუსლიმი მიგრანტები ევროპაში დომინირებენ და პოლიციაზე ძალადობენ

გავალითი: 2019 წლის 1 მაისს Facebook-ის მომხმარებელმა გააზიარა ვიდეო, რუსულენოვანი წარწერით „გერმანიაში პოლიციის მანქანა მუსულმანურ კვარტალში გაიტყდა“ (Германия, полицейская машина застряла в мусульманском квартале). იდენტური ინფორმაცია, თითქოს მიგრანტები ევროპულ პოლიციას უტევენ, 20 აპრილს Dutch Report-მა და ამერიკელმა პოლიტიკურმა მიმომხილველმა ჰალ ტერნერმაც გაავრცელეს, თუმცა ვიდეოს გადაღების ადგილად ისინი კოპენჰაგენს უთითებდნენ.

გადამოწმების ინსტრუმენტი: invid-project.eu

გადამოწმების შედეგი: ვიდეო ავთენტურია, თუმცა მისი თანდართული აღწერილობა — მცდარი. ვიდეოკადრები გადაღებულია არა დანიაში ან გერმანიაში, არამედ ალჟირში და 2019 წლის 8 მარტს მოქმედი პრეზიდენტის წინააღმდეგ გამართულ აქციას ასახავს. ვიდეოფაბრიკაციის მიზანია, შექმნას სურათი, თითქოს ევროპაში მუსლიმები დომინირებენ და ძალადობრივ მეთოდებს მიმართავენ³⁹.



³⁹ მითების დეტექტორი (2019), ვიდეოფაბრიკაცია, რომელიც ალჟირის საპროტესტო კადრებს ევროპულ ქალაქებად წარმოაჩენს, <http://mythdetector.ge/ka/myth/videopabrikatsia-romelits-alzhiris-saprotesto-kadrebs-evropul-kalakebad-carmoachens-0>

მიგრაციისა და მიგრანტების კოზიტიური გაშუქების გაგალითები

ხშირად მედია უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს მხოლოდ მიმდინარე კონფლიქტების კონტექსტში აშუქებს. თუმცა, არსებობს სისტემური საკითხები, რომლებიც შესაძლოა ერთი დღის ახალი ამბავი არ იყოს, მაგრამ ხანგრძლივად აქტუალურია და მედია ამ თემების შესახებ საზოგადოებას ინფორმაციას უნდა აწვდიდეს. მაგალითად, რა პრობლემები ექმნებათ მიგრანტებს/უცხოელებს ბინადრობის ნებართვის მიღებისას და რატომ? რა სახის დაბრკოლებები ხვდებათ უცხოელებს საქართველოში კანის ფერის გამო და როგორ ვლინდება რასიზმი სხვადასხვა ფორმით? ზოგადად, როგორია მიგრაციის დინამიკა, რას საქმიანობენ და რა აწუხებთ მიგრანტებს საქართველოში?

საქართველოში ძლიერდება რასისტული განწყობები. მნიშვნელოვანია, მედია ამ პრობლემას თავის ადევნებდეს და გააშუქებოს სათანადო დროს უთმობდეს. რასიზმის ინდივიდუალური გამოვლინებების (მაგ. კანის ფერის გამო უცხოელს თავს დაესხნენ) გარდა, ყურადღება უნდა მივაქციოთ ინსტიტუციურ რასიზმს, რომლის ამოცნობაც, ხშირად, უფრო რთულია. ასევე აუცილებელია მიგრანტების ამბების თხრობა, პირველ რიგში, სწორედ მათი ხმა უნდა ისმოდეს.

იხილეთ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) პროექტის „მედიის ცნობიერების ამაღლება მიგრაციის საკითხებზე“ და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროექტის EMERGE ფარგლებში სხვადასხვა მედიის მიერ მომზადებული მასალები მიგრანტებსა და მიგრაციაზე:

როგორ ცხოვრობენ საქართველოში ინდოელები – <https://bit.ly/3dNb6FR>

ნიგერიელი სტუდენტები რასიზმსა და მეგობრობაზე, რომელიც საქართველოში დახვდათ – <https://bit.ly/2Qxb8sp>

როგორ ცხოვრობენ საქართველოში შერეული ოჯახები – <https://bit.ly/3aEDpEe>

როგორ უმკლავდებიან პანდემიას საქართველოში მცხოვრები უცხოელები – <https://bit.ly/2Piu7GC>

„საქართველო უკვე ჩემი სახლია“ – რას ჰყვებიან ირანელები, რომლებიც საქართველოში საცხოვრებლად ჩამოვიდნენ – <https://bit.ly/3vhoU17>

„ფეგა – სინათლე მზის ამოსვლამდე“ – ირანელი გოგოს ცხოვრება საქართველოში – <https://bit.ly/3vcHfwn>

სახლიდან შორს – ინდოელების ცხოვრება ქუთაისში – <https://bit.ly/2QVdpxm>

„ალი და ნინოსავით ვართ“ – პაკისტანელი კაცის და ქართველი ქალის ოჯახის ცხოვრება ბათუმში – <https://bit.ly/3vgblyV>

ხუთი ამბავი ტოლერანტობასა და რასიზმზე – <https://bit.ly/3gxtvlx>

ჯორჯი რუსთავიდან – <https://bit.ly/3u15A8l>